№ 71 აპრილის 5, პარასკევი. 1866—1885 აპრილის 5, პარასკევი. № 71.

„დროების“ რედაქცია— სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე [illegible] სტრიქონზე 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული [illegible] დი 25 მანათი; პირველი 50 მან. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

**„დროების“ ფასი აპრილის პირველიდამ წლის დამლევამდე 7 მ. და 50 კ.; სოფლის მასწავლებელთათვის 5 მან. და 50 კ.**

**წლით ხელის-მომწერნი ამ წლის ყველა ნომრებს მიიღებენ.**

## წერილი პოლიტიკაზე

თბილისი, აპრილის 5-ს

ორს თვესაც არ გაუვლია მას შემდეგ, რაც მთელი ევროპის საზოგადოება მშვიდობიანობით ნეტარებდა: გაზეთები გვარწმუნებდენ, ასე დაწყნარებული დიდი ხანია არ ვყოფილვართო. მართალია, ჩინეთში და აფრიკაში სისხლი იღვრებოდა, მაგრამ ამ ამბავს საზოგადო ევროპიულ მნიშვნელობას არავინ აძლევდა, ეგ იგი სუდანისა და ჩინეთის არეულობას არ სცნობდენ ისეთ საგნად, რომელსაც შესძლებოდა ევროპიელების ურთიერთ კეთილ განწყობილების დარღვევა. ხოლო პოლიტიკა იგივე თვალ-გადუწვდენელი ზღვაა, რომელიც მლელვარების წინ დამშვიდებულია ხოლმე: მაგრამ უეცრად ამოჰქრის პატარა ქარი, სარკის მსგავსი ზღვის პირი ქანაობას დაიწყებს, მერმე გრგვინვა, ქუხილი, ქარიშხალი, ზვირთებს აავორებს, ერთმანეთს მიაჯახებენ და მენავეთ დაუბნევენ წინ-და-წინ განზრახულს და გარკვეულს გზას.

დღეს ამ ზეფირად, ამ პატარა ქარად ნაცნობი უნდა იქმნეს ავღანი. ორმა დიდებულმა, ძლიერმა სახელმწიფომ მოლაპარაკება აღძრა: საიმედო, უდავო საზღვრები უნდა გავარკვიოთ, გავმართოთ თავიანთ სამფლობელოთა შორის. ჭკვიანი რომელები ამბობდენ, მშვიდობიანობა თუ გინდა, საომრად მზად უნდა იყვეო. ვგონებთ, ამ ბრძნულ ჭეშმარიტებას არასოდეს არ ჰყოლია იმოდენი მუყაითი მიმდევარი, როგორადაც აწინდელ პოლიტიკაში. უწინ მშვიდობიანობას ზეთის ხილის შტოთი ამცნებდენ; ახლანდელ დროში კი «მტკიცისა» და ხმლის წვერით ამკვიდრებენ. ეს არის ხასიათი და მიმართულება აწინდელ პოლიტიკურის ცხოვრებისა, რომელთა შეცვლა შეუძლებელია,—შეუძლებელია იმიტომ, რომ არსებობისათვის ბრძოლა პოლიტიკაშიც აუცილებელი უბედურობა არის.

რუსეთმაც და ინგლისმაც მშვიდობიანად საზღვრების გასაყვანად ჯარები ფეხზედ დააყენეს. სანამ საქმე საქმეზედ მოვიდოდა და უმთავრეს საგანს რიგზედ მოიყვანდენ,—ავღანის საზღვარზე მოხდა შეტაკება, რომელმაც რამოდენიმე ასი კაცი იმსხვერპლა. რასაკვირველია, ვინც ჩვენს წინდახედულობასა და შორს გამჭვრეტელობაში გამოცდილია, იგი დარწმუნდება, რომ ამ შეტაკების მიზეზი ჩვენ არ დაგვედება: ავღანელებმა თავიანთ უსაფუძვლო და უსამართლო მოქმედებით გამოიწვიეს სისხლის ღვრაო, გვაუწყებს გენერალი კომაროვი.—რადგან ავღანი ინგლისის მფარველობის ქვეშ არის, რადგან იგი ინდოეთის საფეხურია—რა თქმა უნდა, ეს ამბავი ინგლისის საზოგადოებას და მმართებლობას ააღელვებდა, დაუბადებდა ეჭვს, რომ რუსეთი ინდოეთისაკენ მიიწევს და ჰსურს, ავღანით ზურგი გაიმაგროსო. ჯერ-ჯერობით ვერავინ ვერ იტყვის, თუ როგორ გათავდება უთანხმოება. ამ ორის დღის განმავლობაში მიღებულის ცნობებიდგან ვტყობულობთ, რომ ორივე მხარე მშვიდობიანობის დაცვას ცდილობენ. ინგლისის მმართებლობა თავდაპირველად ძალიან მკაცრად მოეკიდა ავღანიდან მოსულს ამბავს და ითხოვდა რუსეთისაგან კომაროვის მოქმედების გამართლების საბუთებს; ეს მიწერ-მოწერა დღესაც არ შეწყვეტილა.—რუსეთის თავმოყვარეობა და მარტის თვრამეტს მომხდარის ბრძოლის მნიშვნელობა არ დამცირდება იმ შემთხვევაშიაც, რომ რუსეთმა ბოდიშიც მოიხადოს. ვინ არ იცის, თუ რა გავლენა იქონია გეოკ-თეფეს აღებამ აზიელ ხალხებზე? ამ მოვლენამ ისეთი ძლიერების ხმა დაუგდო რუსეთს, რომ ერთი სროლა თოფის წამლის დაუხარჯავად შემოუერთა მერვი. კომაროვის გამარჯვებას კიდევ უმეტესი გავლენა ექმნება. პირველად ყოვლისა იმიტომ, რომ ავღანი ერთ საუკეთესო და ძლიერ სახელმწიფოდ არის ნაცნობი დასავლეთ აზიაში, და ამასთანავე იმიტომაც, რომ ძლიერი ინგლისის მფარველობამ და დახმარებამ ვერ დაიხსნა ეს ქვეყანა რუსეთის ძლიერებისაგან. შესაძლოა, ყოველგვარი დაკმაყოფილებაც რომ მისცეს რუსეთმა ბრიტანიას და ამ გზით მშვიდობიანობა ჩამოვარდეს, იმ შემთხვევაშიაც რუსეთი მოიგებს: მოიგებს მომავალში თავის განზრახვების და სურვილების სისრულეში მოყვანისათვის. აზიის ხალხების ყურამდე დიპლომატიური მიწერ-მოწერა და ბოდიშების მოხდა არ მიაღწევს, და ის აზრი კი დაუმ-

## წყალი და ხოლერა

ამ სათაურით რუსულს გაზ. «Неделя»-ში დაბეჭდილია წერილი, რომელიც ნათლად გვიჩვენებს იმ დიდს მნიშვნელობას, რომელიც წყალსა აქვს ხოლერის გავრცელებაში. წერილი გამოგზავნილია იტალიიდამ—ქ. ნეაპოლიდგან, სადაც შარშან ზაფხულში და შემოდგომაზედ ისე უწყალოდ ჟლეტდა ხალხს სამას-ოთხასობით დღეში ეს უსაშინელესი მტერი ადამიანთა სიცოცხლისა—ხოლერა და სადაც გამოიჩინა გასაოცარი თავ-განწირული გმირობა და მშობლიური მზრუნველობა თავის ქვეშევრდომთათვის იტალიის კოროლმა ჰუმბერტმა!.. ნეაპოლში წაუკითხავს საჯარო ლექციები და შემდეგ ცალკე წიგნად გამოუცია თავის გამოკვლევანი ხოლერის გავრცელების შესახებ პადუის უნივერსიტეტის პროფესორს, გამოჩენილს მეცნიერს—ბრუნეტის, რომელიც შარშან ყოველთვის და ყოველგან,—სადაც კი ხოლერა გაჩნდებოდა,—დაუღალავად შრომობდა, შველოდა ავადმყოფთ და იკვლევდა ამ სენის გავრცელების მიზეზსა. ბრუნეტის გამოკვლევათა და შრომის სარბიელი იყო უუნაყოფიერესი ნაწილი იტალიისა—ლომბარდია, მდ. პოს ხეობა (გინდ-აუზი) და აქ მისი უპირველესი საგანი იმაში მდგომარეობდა, რომ გამოეკვლია და გაეგო ხოლერის გაჩენის მიზეზი ამა ანუ იმ ადგილში.

რადგანაც ამ გაზაფხულისათვის მთელი ევროპა ხოლერას მოელის; ქალაქნი და ერობანი სხვა-და-სხვა ღონის-ძიებათა ხმარობენ და ყოველგვარს ზომებს იღებენ ამ საშინელის სენის წინააღმდეგ,—და, შესაძლებელია, იგი ჩვენც გვესტუმროს ჩვენს სუფთა დაბა-ქალაქებში,—ამიტომ საჭიროდ ვრაცხ «დროების» მკითხველნი გავაცნო გამოჩენილის მეცნიერის აზრს ხოლერის გავრცელებაზედ, რომ ვინ იცის, იქნება ჩვენც ვისარგებლოთ მეცნიერების ნაყოფით და რაიმე საშუალება ვიხმაროთ ჩვენის სიცოცხლის დასაცველად მოსალოდნელის მტრის წინააღმდეგ. «სიფრთხილეს თავი არა სტკივაო»; ამბობდენ ჩვენნი ძველნი და მართალსაც ამბობდენ...

მეცნიერმა ბრუნეტიმ დაიწყო თავისი გამოკვლევანი პირველად ერთის სოფლიდგან, რომელშიაც რვაას ორმოცდა ათამდე (850) მცხოვრები იყო. ეს სოფელი ორს უბნად, ანუ ნაწილად იყოფოდა და ერთი მეორისგან ხუთასის ნაბიჯით იყო დაშორებული. ორი უბანი ისეა განაწილებული, რომ ერთს ნაწილში ორი მესამედი მცხოვრებია მთელის სოფლისა, მეორეში—ერთი, ესე იგი დიდს უბანში რომ 550 იყოს, პატარა უბანში 250—300 არის. ამ უბანთა შორის არავითარი ხელოვნური განთვითება (განცალკევება ერთი მეორისაგან) არ ყოფილა და არც არავითარი კარანტინული საშუალება უხმარიათ იმ აზრით, რომ ხოლერა ერთის უბნიდგან მეორე უბანში არ გადასულიყო იმ დრომდე ვიდრე ბრუნეტი იქ მივიდოდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მცირე უბანში ცხრამეტი ოჯახი დახვდა ხოლერით ავად მეცნიერს და ცხრა უკვე ამოხოცილიყო, როდესაც დიდს უბანში ნიშნებიც არ იყო ხოლერისა. ადგილობრივმა ექიმმა მიაქცია მეცნიერის ყურადღება ერთს გარემოებაზედ: „ამ ორის უბნის მდებარეობის სხვა-და-სხვაობის გამო, სოფლის ყველა მცხოვრებნი ერთის და იმავე ადგილიდგან არ იღებენ წყალს მდინარიდგან სახმარად, რადგანაც ერთს უბანს რომ ერთი ადგილი ემარჯვება,—მეორე უბანს სულ სხვა ემარჯვება და იქიდამ იღებს წყალსაო, ესე რომ ერთის უბნის ასავსები ადგილი მეორე უბნის ასავსებიდამ—ერთის ვერსის მანძილზედ არის დაშორებული, თუმცა ორივე უბანი ერთი და იმავე მდ. პოდგან ხმარობენ სასმელ წყალსაო“...

მდ. პო საზოგადოდ მდორედ და თანაბრად მომდინარეობს; ასე რომ მდინარის ზედა-პირი და ქვედა-ფსკერზედ დინდობილი—ერთის ძალით მიმდინარეობენ და ამიტომ ერთნაირადაც მთელს კალაპოტში; ამ გვარს მიმდინარეობის დროს რაც რამ მოაქვს მდინარეს,—წყალთან ერთად მოაქვს თანაბრად და ამიტომ შეუძლებელია, რომ ამისთანა ადგილებში ჩაიძიროს რამე, დარჩეს, დალპეს და მოწამლოს წყალი. მაგრამ მდ. პო თავის მიმდინარეობაში ალაგ-ალაგ ხვდება იმისთანა მიწას, რომლის ნიადაგი ჩვეულებრივზე უფრო მაგარი, ან რბილია. ამ შემთხვევაში მდინარე ან უხვევს სხვა მხარეს, რაკი პირ-და-პირ მაგარი ნიადაგი (მაგალითად თიხა, ან კლდე) და ან ჰმოთხრის, მიაქვს მიწა და ამნაირად მისი სიღრმე მეტ-ნაკლებდება (მაგალითად ქვიშიანი ადგილი); ერთს ადგილას ღრმავდება და ჩერდება წყალი (მორევი), მეორედგან თხელდება და ჩქარდება; ერთის სიტყვით, ჩვეულებრივს მდინარეობას ცვლილობს. და აი, ამისთანა უსწორ-მასწორო ადგილებში, ჩქარის წყლისაგან მიტანილი რამ მძოვრი რჩება მდორე—ღრმა-

კვიდრდებათ, რომ რუსეთი ძლევა მოსილია; საჭიროების დროს, რასაკვირველია, იმას მიეკედლებიან. ეს არის ის პრესტიჟი, რომელზედაც ასე შიშობს ინგლისის საზოგადოება. და ეს შიში სწორედ რომ საფუძვლიანია. ვიმეორებთ, ეხლანდელი უთანხმოება უომოთაც რომ გათავდეს, პენჯდეს ომი საუკეთესო ნიადაგს მოუმზადებს რუსეთს მომავალში სამოქმედოდ აზიაში. როგორც კერძო პირის ისე მთელის ხალხის ბუნება ის არის, რომ უფრო ძლიერს მიეკედლება. ყველაზე უფრო საშიში ინგლისისათვის დღეს-დღეობით—აზიაში რუსეთზე ძლევა მოსილობის ხმის გავარდნა არის. ამ საგანს ინგლისელებიც უყურადღებოდ არ დასტოვებენ.

## შინაური ქრონიკა

— ფინანსთა სამინისტროში ამ ჟამად ირჩევა სხვა-და-სხვა საქმეები ამიერ-კავკასიის სადამოჟნო ზედამხედველობისა და ბათუმის პორტო-ფრანკოს შესახებ; სხვათა შორის უნდა განირჩეს ისიც, რომ თბილისი სადამოჟნო ოლქის ხედველობიდამ გამორიცხულ იქმნეს და დაარსდეს მასში განსაკუთრებული ზედამხედველობა, რომელიც კავკასიის სხვათა სადამოჟნო ოლქებში რევიზიის მომხდენელის ხელ-ქვეშ უნდა იქმნეს.

— დუშეთიდამ გვწერენ, რომ მარტის 21-ს, კვირაცხოვლობას დიდი ჩხუბი ყოფილა გარეშე სოფლელი ხალხისა და დუშელების შორის! ას-ოც კაცში ორი კაცი არ იყო რომ თავი მთელი ჰქონოდათ და ოთხი კაციც მოკვდაო. (?)

— შორაპნის მაზრიდამ გვწერენ, რომ სოფ. შროშაში ერთმა გლეხმა, გვარად შელიძემ, რამდენჯერმე მუცელში დანა ჩაიკრა და თავი მოიკლაო.

— ხონიდამ გვწერენ, რომ აქთოკით თავი ჩამოიღრჩო ერთმა ოთხმოცის წლის ქალმაო.

## უცხოეთი

### ავღანის საქმენი.

„მოსკოვის უწყებები“ ვრცელის მოწინავე წერილით განმარტავენ გაზ. „Times“-ში დაბეჭდილს წერილს რუს-ინგლისის შეტაკების თაობაზედ ავღანის სამზღვრებზე: „ოფიციოზურის „რეიტერის სააგენტოს“ სიტყვით, ამბობს „მოსკ. უწყ.“, რუსის პასუხმა ლ. გრანვილის ნოტაზე ინგლისური გაზეთების უმრავლესობაზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინაო, გარდა გაზ. „Times“-სა. სჩანს, რომ თითქოს ყველანი მოიმედენი არიან ავღანის საქმეები მშვიდობიანად დაბოლოვდენ. „Times“-ის აზრით კი რუსეთის პასუხმა ვერავითარი დამამშვიდებელი ხასიათი ვერ მისცა ინგლისის და რუსეთის შორის ამტყდარს დავას ავღანის სამზღვრებზე. ინგლისმა უარი უნდა განაცხადოს რუსეთის წინადადებაზე (საზღვარზე), სამაგიეროდ თავისი საზღვარი წარუდგინოს და თუ საჭიროება მოითხოვს ძალითაც დაიცვას იგი. მაგრამ გაზეთის აზრით, ბრძოლის ველად მარტო ავღანი კი არ უნდა იქმნეს, რადგან რუსეთთან შებმა ხმელეთზე (აზიაში) საძნელოდ გახდებოდა ჩვენთვისაო—საჭიროა სხვა მხრისაკენაც გავიწვიოთ რუსის ჯარიო: ინგლისმა უნდა იხმაროს თავისი ზღვის ძალაო. შემდეგ გაზეთი ჩამოსთვლის რუსეთის სხვა-და-სხვ. კუთხეს, საიდამაც, კი შესაძლოა ინგლისის ჯარის მიდგომა და ბოლოს შეჩერდება შავს ზღვაზე. ეს ზღვა საკმაოდ გაცნობილი აქვსო ინგლისს. მაგრამ სანამ მასში მოქმედებას დავიწყებდეთ უნდა კარგად განვსაჯოთ თავიდამვე, როგორ წავიყვანოთ საქმე ამ ზღვაშიო. მართალია, რომ შავიზღვის ნავთ-საყუდლების მხოლოდ შემოზღუდვით, რუსეთს მეტად გაუძნელდებოდა ჯარების გადაყვანა ავღანში, რადგან ამიერ-კავკასიის რკინის გზით ველარ ისარგებლებდა იგიო. მაგრამ ეს მხოლოდ შეაჩერებდა რუსის ჯარის შეგროვებას აზიაში და მისს რიცხვს-კი ვერავითარს ზიანს მისცემდა. შავს ზღვაში ომის გამართვა რუსეთთან არც იმდენად საადვილოა: მას საკმაო სიმაგრე აქვს იქაო. ნიკოლაევსა და სევასტოპოლზე მისვლა ზღვით შეუძლებელია, ვერც აზოვის ზღვაში შეიძლება შესვლა. ნაპირები ასაფეთქის იარაღებით (ტორპედი) და მცირე ჯავშნიან გემებით იქმნება დაცული. ერთად-ერთ გახსნილ და სრულებით გაუმაგრებელ ადგილად სჩნდება ბათუმი. აი, ამ ნავთ-საყუდლისაკენ უნდა მივმართოთ მთელი ძალ-ღონე, მით უფრო რომ სრულს გამარჯვებას გვექადის ამ ადგილის დაჭერაო. შეიძლება დავიჭიროთ ფოთი და ბათუმი, განაგრძობს Times-ი, ავაჯანყოთ კავკასიის ხალხი, გამოვიწვიოთ აქეთკენ უმრავლესი [illegible] რუსის ჯარისა და ბოლოს მოვუღოთ რუსის წინ წაწევას ავღანშიო.—ამაზედ უკეთესი კიდე რაღა უნდათ ინგლისელებსო დასძენს „მოსკოვის უწყებანი.

მაგრამ, აი, უბედურება, განაგრძობს „მოსკოვის უწყებ.“, შავს ზღვაში მოქმედება არ შეიძლება ოსმალეთის დაუთანხმებლად. ოსმალეთს შეუძლია არ შეუშვას, ან და, უფრო შესაძლებელია, არ შეუძლია შეუშვას ინგლისის ხომალდები ამ ზღვაში; და თუნდ კიდეც რომ შეუშვან, ფოთისა და ბათუმის წინააღმდეგ ინგლისი უხმელეთოდ ვერას გახდება, გარდა იმისა, რომ ქვა-ნახშირს ამაოდ შემოიხარჯავს. გამარჯვებას ინგლისი ზღვით ვერ იგდებს ხელში; ხმელეთზედ, მცირე აზიაში ეძებოს იგი. მაგრამ ამისათვისაც ინგლისს მაინც კიდე არა ჰყავს საკმაო ძალა. რომ შავს ზღვაში მოქმედებამ გავლენა იქონიოს ავღანის საქმეთა მიმდინარეობაზედ, გაზ. Times-ის აზრით, საჭიროა ინგლისს ჰყავდეს 80 ან 90 ათასი ხმელეთის ჯარი. სად მოსძებნოს ეს ჯარი ინგლისმა? ოსმალეთის დაუხმარებლად აქაც ვერას გახდება ინგლისი. ინგლისური გაზეთი სცდება, ივიწყებს რუსის საზღვრებს მცირე აზიაში, ოსმალეთმა-კი კარგად იცის, რომ 80 ათასი ჯარის კაცი ვერას გახდება ამ საზღვრებზე. ესეც რომ არ იყოს ოსმალეთი კიპრის კონვენციისა და ეგვიპტისა და სუდანის საქმეთა შემდეგ არ შეიწყენს თავს ინგლისისათვის.

ბოლოს «მოსკ. უწყ.» დაახლოვებით შემდეგის სიტყვებით აბოლოვებს თავის წერილს: მოსისხლე მტერიც კი ვერ დასახავდა ესე ცხადად საშხედრო

---

ში (მორევში), იძირება შიგ და, რადგანაც ძირს მდინარეობა შეჩერებულია, რჩება კიდეც იქ, ლპება, იხრწნება და ჰსწამლავს წყალსა... საზოგადოდ რომ დავაკვირდეთ მდ. წყალს შევნიშნავთ, რომ მორევის წყალს უფრო მოყვითანო ფერი ჰსძევს, ვიდრე დანარჩენს მდინარის წყალს, მორევის წყალი უფრო მღვრიედ მოჩანს, უფრო... რაღა უფრო, აიღეთ ავლაბრის მორევის წყალი და შეადარეთ ჰუკიის ხიდის ზემოდ მომდინარე მტკვარს... ქუთაისის ზემოდ რიონი და ქუთაისის ქვემოდ იგივე რიონი...

ბრუნეტიმ გამოიკვლია ორივე უბნის წყლის ასავსები ადგილები... ამ გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ ის მცირე უბანი, რომელშიაც ხოლერა იყო გავრცელებული, ჰხმარობდა და იღებდა წყალს მდ. პოს ერთის მორევიდგან; ხოლო მეორე, დიდი უბანი-კი იღებდა წყალს იმ გვარის ადგილიდგან, სადაც პო ჩვეულებრივ თანა-სწორედ და მდორედ მიმდინარეობს... როდესაც ბრუნეტიმ დაკვირვებით გამოიკვლია მორევის წყალი და ჩვეულებრივად მიმდინარე ცალკ ცალკე, აღმოჩნდა, რომ მორევის წყალი მრავალს გახრწნილს ნივთიერებას შეიცავდა და მეორე-კი სრულიად სუფთა იყო. აქედგან ის პირ-და-პირი დასკვნა დაადგინა მეცნიერმა, რომ ხსენებულს სოფელში ხოლერის გაჩენის და გავრცელების მიზეზი — მორევის წყალი ყოფილიყო. ამიტომ ბრუნეტის წინადადებით ადგილობრივმა მთავრობამ ყველა მორევებთან და შეგუბებულებთან დარაჯნი დაადგინა და სასტიკად აღუკრძალა ყველას ხსენებულის ადგილებიდგან წყლის ავსება და ხმარება. ამ განკარგულების შემდეგ პატარა უბანში ახლად აღარავინ გამხდარა ავად, პოს ხეობაში მრავალი სოფლებია და ზოგიერთი მათგანი ისეა მოშორებული, რომ მდ. პოდგან კასრებით (ბოჩკა) ეზიდებოდენ წყალს სახმარებლად და გასაკვირველია, რომ იმ სოფლებში, რომელთ მცხოვრებნიც მორევებიდგან არა ხმარობდენ წყალსა, — მცირედი ნიშნებიც არავის შეუნიშნავს ხოლერისა! ამ გვარივე მოვლენა აღმოაჩინა ბრუნეტიმ ყველა იმ სოფლებში, სადაც იგი დაიარებოდა და ყველგან სასიკეთო შედეგი ჰქონდა მთავრობისგან დადგენილს განკარგულებასა, — სადაც ჩვეულებრივად მომდინარე ადგილებიდგან ავსებდენ წყალსა, — იქ სრულიად არ გაჩენილა ხოლერა. ნოემბერში ბრუნეტი მეორედ მივიდა ერთს სოფელში, სადაც ერთის თვის წინად მოსპობილ იქმნა ხოლერა ბრუნეტისაგან ხმარებულ ზომათა წყალობით და სადაც ხელ-ახლად გაჩენილიყო სენი. ამ უკანასკნელის მოვლენის მიზეზის გამოკვლევამ კვალად დაამტკიცა ბრუნეტის გამოკვლევანი და მის დასკვნათა სიმართლე: აღმოჩნდა, რომ თურმე ამ სოფლის ზოგიერთა მცხოვრებთ განკარგულების წინააღმდეგ ძველის აღკრძალულის ასავსებიდგან უხმარიათ წყალი და პირველსავე ორს დღეში ექვსი კაცი მომკვდარიყო ხოლერით! დარღვეული წესი აღადგინეს და ხოლერა კვლავ მოისპო რამდენსამე დღეში...

აი, რა საზარელი ამბავი უთხრა ერთმა ადგილობრივმა მოხელემ ბრუნეტის: „დილით, ნოემბრის 19-ს ორი ახალ-გაზდა და ჯანმრთელი ქალი 18-19 წლისანი მხიარულად მიეშურებოდენ მდინარის თავ-დაღმართზედ წყლის ასავსებისაკენ და სიცილით ეუბნებოდენ ერთმანეთსა.—რას ამბობ, ქალო, რის ხოლერა; სად არის ხოლერა? წავიდეთ ერთი მადიანად დავეწაფოთ პოსა! დალიეს წყალი უბედურთ; სადილის შემდეგ ორივენი ავად დახდენ და საშინელის ტკივილებისა და წვალების შემდეგ გარდაიცვალნენ მეორე დილას». ამ ფაქტს, ვგონებთ, განმარტება არ ეჭირვება: აქაც მტკიცდება ბრუნეტის აზრი, რომ წყალი ყოფილა უუმთავრესი გამჩენი და გამავრცელებელი ხოლერისა, რადგანაც უბედურ ქალთ აღკრძალულის ადგილიდგან დაელიათ. გარდა ამისა, მეცნიერს ბრუნეტის მოჰყავს კიდევ მრავალი სხვა მაგალითები, რომელნიც თვალ-საჩინოდ და დაურღვეველად ამტკიცებენ წყლის დიდს მნიშვნელობას ხოლერის გავრცელებაში.

რომ უფრო მკვიდრს საფუძველზედ დაადგინოს თავისი აზრი, ბრუნეტი არ დაკმაყოფილდა აწმყოთი: იგი უბრუნდება წარსულს, 20—30 წ. წინ, და იკვლევს მაშინდელს ხოლერის გავრცელების მიზეზსაცა. შარშანვე ხსენებულმა მეცნიერმა დაიარა ის ადგილებიც, სადაც 1855 წ. საშინლად იყო გავრცელებული ხოლერა და სადაც ეგონა—ახლაც იქმნებაო. მაგრამ შარშან იმ ადგილებში ხსენებაც არ იყო ხოლერისა! აქაურნი მცხოვრებნი თურმე სუფთად შენახულის და მდ. პოზედ მოშორებით ამოთხრილ ჭებიდგან ხმარობდენ წყალსა. გამოჩენილი მეცნიერი ცოტა არ იყოს შეაფიქრა ამ უკანასკნელმა გარემოებამ და თითქოს ვერ აეხსნა; აქაურნი მცხოვრებნი 55 და 84 წლებში ერთი და იგივე ჭებიდგან ხმარობდენ წყალსა და რა იყო მიზეზი, რომ 1855 წ. აქ საშინელი ხოლერა იყო და 1884

ძალის სისუსტეს ზღვის მეფისას. რა უბრალო რახა-რუხია სიტყვებისა, რა ბავშური პრიალია ცარიელის ქარქაშისა. რა აზრი აქვს ,,Times‘‘-ის სიტყვებს: «რუსის პასუხი ინგლისის ნოტაზე შეუძლებელია მივიღოთო». რომ იგი არ მოსწონდეთ ეგ სხვაა, მაგრამ რომ უნდა მიიღონ ეგ საჭიროა, აუცილებელია.

„Pall Malle Gazette“-ი, რომელიც მუდამ გულ-დამშვიდებით, აუშფოთებლად გარჩევას ითხოვდა «ავლანის საქმეებისას» დღეს იწერება; თუ რომ უკანასკნელი მოქმედება რუსებისა, ავლანელების მხრით არ ყოფილა გამოწვეული, ჩვენ მზა ვართ მივეკედლოთ ომის მსურველს დასს.

ქვემო პალატაში გაცხარებული სჯა ამტყდარა საჩქაროდ შეგროვილ წევრთა შორის, როდესაც რუსებისაგან ავლანელების დამარცხების ამბავი მისულა ლონდონს. გლადსტონს მიუმართავს წევრთადმი და უთქვამს რომ ამ შეტაკებაზე დაწვრილებითი ცნობანი მივიღეთ ჩვენ ლემსდენისა და სხვა ჩვენი აფიცრებისაგანაც, რომელთაც არავითარი საფუძველი არ გვაქვს, რომ არ დავენდოთ. ამ ცნობით მტკიცდება, რომ არც მარტის 17-დის და არც ამ რიცხვის შემდეგ ავლანელები ადგილიდამ არ დაძრულან. მარტის 29 ლემსდენმა გვაცნობა, რომ მიუხედავად პირობისა, საკმაო რიცხვი რუსის ჯარისა გაწყობილ იქმნა თოფის გასროლის მანძილზე ავლანელთ ბანაკიდამ, თუმცა ავლანელები არც თავს დასხმიან და არც წასულან მათკენ და პენჯე კი სრულებით მშვიდობიანად იყო. შემდეგ გვწერენ — რუსები ყოველს ღონეს ხმარობდენ, — დაწვრილებით მოძყავს ცნობის შინაარსი,—რომ ავლანელები გამოეწვიათ შეტაკებაზე. რუსის რაზმი ორჯერ სცდილობდა გაერღვია ავლანელთ დარაჯთა დასი. შემდეგ როცა ეს ცდა ვერ მოუხდათ რუსებს, როგორც ჩვენები გვარწმუნებენ, კაპიტანს შეტს მოლაპარაკება ჰქონდა რუსის გენერალური შტაბის უფროსთან, რომელსაც ეთქვა, რომ მათ არავითარი ცნობა არა აქვთ მარტის 17 ს შეკრულს პირობაზედ. ამ უფროსმა არ ისურვა მიეცა შეტისათვის პირობა, რომ ავლანელებზე იერიშით არ მივიდენ რუსები და სულ თავისაზე იდგა:—განფანტოს საფრებიდამ ავლანელების ჯარი, მესამე მხრის (ინგლისის) დაუკითხავად, თუ კი ეს საჭიროდ გახდება რუსებისათვის. ეს განცხადება შეესაბამება წინანდელს ცნობას,—რომ მას, შტაბის უფროსს, არ მიეღოს ვითომც პეტერბურგიდამ არავითარი ინსტრუქცია. მარტის 31 ჩვენ გავიგეთ, რომ ავლანელებს მარტის 30-მდის სრულიად არ დაუცლიათ თავიანთი საფრები. შემდეგ მოდის ამბავი, რომ მარტის 30 რუსები იერიშით მივიდენ ავლანელებზე, დაამარცხეს ისინი და დაიჭირეს პენჯე. ავლანელები მამაცად იბრძოდენ და მთელმა ორმა როტამ სული დალია საფრებშიო. ინგლისის აფიცრებს ნეიტრალიტეტი ეჭირათ ამ შეტაკების დროსაო.

## ტელეგრამები

,,ჩრდილოეთის სააგენტოსი''.

აპრილის 3-ს.

პეტერბურგი. ,,მმართებლობის მოამბე'' ამბობს, რომ კომაროვის უკანასკნელ ტელეგრამაში, მარტის 29-დამ, გაშვებულია სამი სიტყვა: როდესაც გენერალმა კომაროვმა მოსთხოვა ავღანის ჯარის უფროსს მდ: კუშკას მარცხენა ნაპირის დაცლა, იმან უპასუხა, რომ, ინგლისელების რჩევის თანახმად მე კუშკას ნაპირებს თავს ვერ დავანებებო.

,,Новое Время'' ამბობს, რომ კრონშტადში შეუდგენ საჩქაროდ დამზადებას არა თუ გემებისას, რომელნიც ზღვაში სასიარულოდ არიან მარტო დანიშნულნი, არამედ იმ გვარი გემებისაც, რომელნიც საომრად გამოდგებიან; საომრად მზადდება 40 გემამდე, უმეტეს ნაწილად ჯავშნიანი ხომალდები და რამდენიმე ათი გემი ასაფეთქებელი მინების მატარებელი. ეს ესკადრა ორი კვირის უკან იქნება მზად.

გაზეთები ამბობენ, რომ შესდგა აქციონერთა კამპანია სამეურნეო ნაწარმოებთა დაზღვევისათვის.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატაში გლადსტონმა სთქვა: ,,უკანასკნელი მოხსენება გენერალის კომაროვისა, რუსეთისაგან პასუხად გამოგზავნილი მისდამი მიმართულს კითხვაზედ, რომელიც (მოხსენება), როგორც ჰფიქრობენ არის გამართლება კომაროვის მოქმედებისა,—მაშინვე გაგზავნილ იქმნა ლემსდენთან; ეს მოხსენება ბევრით განსხვავდება ფაქტიურის მხრივ ჩვენის აფიცრების მოხსენებათაგან, მაგრამ ჩვენ ყოველ-გვარი საშუალება ვიხმარეთ, რომ დაწყებული გამოძიება სრული იყოს და ყოველივე გარემოება გამოაშკარავოს''. გლადსტონმა უამბო აგრეთვე პალატს შესახებ ემირისა და ლორდის დეფერინის დამოკიდებულებისა და შენიშნა, რომ აწინდელს მდგომარეობაში ემირს სრულის ყურადღებით და გულის-ტკივილით უნდა მოვექცეთო. ემირმა იცოდა პენჯესთან მომხდარის შეტაკების ამბავი და მისი დამოკიდებულება დეფერინთან ფრიად სასიამოვნოაო; მაგრამ გლადსტონმა არ განმარტა, თუ როგორი არის ეს თანახმობითი დამოკიდულება. პალატამ მიიღო ადრესი კოროლევის ეპისტოლეს პასუხად და რეზერვების შეგრების შესახებ.

ლონდონი. ,,Times'-ი ამტკიცებს, რომ კომაროვის ჯარი კუშკას ნაპირის, მურღაბის და ზიულფი კარის გასწვრივ წინ მიიწევს და მოსალოდნელია, რომ ავლანელებთან ახალი შეტაკება მოხდება, თუ ჯერ არ მომხდარა. მაგრამ გლადსტონმა სთქვა საზოგადოებათა პალატაში, რომ არაფერი არ იცის რუსების წინ-წასვლაზედ და გრენვილმაც ლორდთა პალატაში გამოაცხადა, რომ საფუძველი არა გვაქვს ვერწმუნოთ იმ ხმებს, ვითომ რუსები მურღაბის გასწვრივ წინ მიიწევენ და ჰერათი გიდევაც აელოთო.

კონსტანტინეპოლი. მთელი ოფიციალური ოსმალეთის ჟურნალ-გაზეთობა ამბობს, რომ თუ ინგლისისა და რუსეთის შორის

---

წელში კი ერთი ადამიანიც არ გამხდარა ავად?

ბოლოს ბრუნეტმა გამოჰკითხა ამის შესახებ ერთს ადგილობრივს მოხუცს მღვდელსა, რომელმაც უამბო, რომ ,,ამ 20-30 წლის განმავლობაში მდინარის ნაპირების მოხაზულობა ძალიან შეიცვალაო; მრავალი დამდგარი მორევები გასწორდა და იქ, სადაც მძოვრები და სხვა ამ გვარები იძირებოდა და სწამლავდა წყალს,—იქ მდინარემ ჩვეულებრივი, სწორი მდინარეობა იწყო''... მოხუცის ნაამბობიდგან მეცნიერმა გონივრული და მართლა-და მეცნიერული დასკვნა გამოიყვანა:

წინად, 55 წ. ამ ადგილებში მდ. პოს ალაგ-ალაგ მორევები ჰქონდა, რომელთ დამპალი და მოწამლული წყალი მიწა-მიწა ჰჟონავდა მცხოვრებთა სახმარ ჭებამდის და ამ რიგად ჰსწამლავდა თვით ჭებსაც. ზოგნი მცხოვრებნი თვით მორევებიდგანაც ხმარობდენ წყალსა და ამიტომ 55 წ. ამ მოწამლულის წყლის წყალობით ხოლერაც საშინლად ვრცელდებოდა. ახლა-კი, როდესაც მორევები მოისპო და მასთან მოწამვლის მიზეზიც — წყალი სუფთაა და არც ხოლერა გაჩენილა აქ. ყოველივე ზემოდ ნათქვამი დაამტკიცა წყლის გამოკვლევამ და ხოლერით ავადმყოფთა შემთხვევამაც.

ადგილის სიმცირე ნებას არ გვაძლევს მოვიყვანოთ აქ ყველა ფაქტები და გამოკვლევანი, რომლებითაც ჩინებული მეცნიერი ამტკიცებს მთავარ აზრს თავის თეორიისას. ამიტომ ჩვენ მხოლოდ შემოკლებით მოვიყვანთ ბრუნეტის პასუხს, რომელიც მას გამოჰყავს ყველა თავის გამოკვლევა-დაკვირვებათაგან შემდეგს საზოგადო კითხვაზე: მესაყარი, გადასადებია ხოლერა, თუ არა? ამ კითხვაზედ ბრუნეტი იძლევა გადაწყვეტილს პასუხს: არა, ხოლერა არ არის გადასადები (მესაყარი) ჰაერის საშუალებით. ხოლერა გადაედება იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფის განავალის მიკრობები მოჰყვებიან (მოხვდებიან) სხვის გვამში (შიგნეულში) პირიდგან. ამ აზრით შეიძლება ჩვენ ვსთქვათო, ამბობს ბრუნეტი: ,,მდინარე სწამლავს (ავრცელებს ხოლერას, შეჰყრის, გადასდებს) იმიტომ, რომ მის წყალს დააქვს მიკრობები, რომელნიც ხშირად მოჰყვებიან კარგად-მყოფის სასმელში. მაგრამ ჩვენ ვამბობთო, განაგრძობს მეცნიერი, რომ ამ მიკრობებს შეუძლიანთ გამოიწვიონ ავადმყოფობა ყველა ადამიანში და არა ასე: აუცილებლად, უეჭველად უნდა გამოიწვიონო, რადგანაც ავადმყოფობის გადადების და გაძლიერებისათვის საჭირონი არიან პირობანი; რომელთაც შეიძლება ერთი გვამი შეესაბამებოდეს და მეორეკი სრულიად ეწინაალმდეგებოდეს''... ამ აზრის მიხედულობით მომწამლველნი და ხოლერის გამავრცელებელნი არიან ყველა ჭები, მდინარენი და ტბები, თუ მათში მიკრობები აღმოჩნდებიან.. ჩვენ გვგონია, რომ ყველა ზემოდ ნათქვამი ფრიად საყურადღებოა, და საყურადღებოა განსაკუთრებით იმ გვარ ადგილთათვის,—რომელნიც დიდ მდინარეთა ნაპირებზე მდებარეობენ, რომელნიც ჭის წყალსა ხმარობენ, რომელნიც დამპალ, ჭაობიან ადგილებზედ სცხოვრობენ.

დიდად სასარგებლო იქნება, რომ ამ წერილში მოხსენებული საშუალება იხმარონ ყველა საეჭვო ადგილებში, მით უმეტეს, რომ ხსენებულის საშუალების ხმარებას არავითარი ხარჯი და მატერიალური მსხვერპლი არ უნდა. ფრიად საკეთილ-დღეო და სასარგებლო იქნება, რომ ხალხსაც გამოეცხადოს ის ზომანი მოსალოდნელის სენის წინაალმდეგ... ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ხოლერა გაჩნდეს, თორემ შენი მტერი: ჩვენებურს ექიმბაშებს სასოებიდამ ველარ გამოიყვან!

ვინ იცის ჩვენებურს ექიმებზედ რამდენი სასაცილო და მართლა სამარცხვინო ანეკდოტებია! აი, ნიმუშები: ქუთაისში ერთს კაცს შარდი შეეხუთა. მოიწვიეს ექიმი.—მე მაგის სპეციალისტი არა ვარ, ესა-და-ეს მოიყვანეთო. მოიწვიეს სპეციალისტი.—მე მაგას აპერაციას ვერ გავუკეთებ, ხელები ამიკროლდებაო!.. მეორე ექიმი არჩენს ფილტვის ანთებით ავადმყოფს. იმავე სახლში სხვა გახდა ავად ყვავილით. ექიმი აღარ მოდის. დაიბარეს არ მოვიდა. კიდევ—შენ არ მომიკვდე იმ ქუჩაზედაც აღარ გაიარა.—რა ამბავიაო? ეკითხებიან.—«ყვავილი არ მიხდია და იქ როგორ და შევალო!» ესეც თქვენი დოქტორი! აბა, მითხარით, თუ ღმერთი გწამთ ამისთანა დოქტორების ხელში რა იმედი უნდა გვქონდეს ხოლერის დროს!! შეიძლება, თუ დრომ და გარემოებამ ნება მოგვცა,—შემდეგს წერილში ვუჩვენოთ მკითხველთ ჩვენის ქვეყნის ყველა უმთავრესის დაბა-ქალაქების უფრო თვალ-საჩინო ცუდი მხარეები უსუფთაობის მხრივ—სად, რომელს ქალაქს რომელი იარა აქვს დაუყოვნებლივ განსაკურნებელი...

რ. მამასაშვილი — ც.

ომი მოხდა, ოსმალეთმა ნეიტრალიტეტი უნდა დაიჭიროსო.

**ლონდონი.** გომაროვის მოხსენება უმთავრესს საგანს შეადგენს გაზეთების მსჯელობისას; ზოგნი ამბობენ რომ გენერალის მოხსენება დამაკმაყოფილებელიაო, მაგრამ სხვანი სისტემატიურად გომაროვს ჩხუბის-ამტეხად რაცხვენ. აპრილის 13-ს მოხდა მინისტრების რჩევა ავღანის შესახებ; სამინისტროს გაზეთი, „Daily News“ ამბობს, რომ კაბინეთმა დაადგინა: ვიდრე გადაწყვეტილს რასმე მოვიქმედებდეთ, მოვუცადოთ ლემსდენის დეპეშას პენჯეს საქმის შესახებო.

**ლონდონი.** როდესაც უელსის პრინცი მეუღლითურთ რკინის გზით კორკში მიდიოდა. ნაციონალისტებმა ერთს სტანციაზედ უსტვინეს; ნაციონალისტებს რამდენიმე დეპუტატი წინამძღოლობდა. თითონ კორკში ნაციონალისტებმა დაამტვრიეს მინები იმ სახლებში, რომელით პატრონებმა პრინცის პატივის-საცემლად ბაირაღები გამოჰფინეს.

**სუაკიმი.** იტალიელებმა დაიჭირეს არათალი, ენსლეის ყურეში, მასოვასა და ასაბის შორის.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატაში გლადსტონმა გამოაცხადა, რომ ლემსდენისაგან არ მოსულა იმის დამამტკიცებელი ამბავი, ვითომ რუსები კიდევ წინ იწევდენ ავღანისტანისაკენ. დღეს მივიღეთ, დაუმატა იმან, პეტერბურგიდამ ახალი საბუთები, რომ თანახმად რუსეთის მთავრობის განზრახვისა და განკარგულებისა, ეს წინ-წაწევა არ მოხდებაო. ლორდთა პალატამ მიიღო ადრესი კოროლევის ეპისტოლეს პასუხად და შესახებ რეზერვების მოგროვებისა.

სამინისტროს გაზეთი „Daily News“-ი იტყობინება, რომ გუშინ ბრიტანიის მთავრობამ მიიღო პეტერბურგიდამ ტელეგრამა, რომელიც უნდა ჩავთვალოთ სამზღვრებზე მოლაპარაკების გაგრძელებად; ჩვენ ვიცით, რომ ეს მოლაპარაკება წინად პენჯესთან შეტაკებამ შეაფერხა. ტელეგრამა შედგენილია მშვიდობიანობის კილოთი და ამბობს, რომ შესაძლებელია სამზღვრების საქმე საბოლოოდ გადაწყდესო... „Pall-Mall-Gazette“ ამბობს: სიხარულით ვაცხადებთ, რომ უკანასკნელ დღეს იმედი მოგვეცა საქმის მშვიდობით გათავებისა; სრული იმედია, რომ რუსეთისა და ინგლისის შორის უთანხმოება რამდენიმე დღის უკან მოისპობა.

აპრილის 4-ს.

**პეტერბურგი.** „ნოვოე ვრემიას“ გაუგონია, რომ ავღანში ემირის წინაამდეგ აჯანყება მომხდარა; ჯერ ცნობილი არ არის თუ რამდენად ძლიერია აჯანყება; არეულობა კი უსათუოდ იმისთვის მოხდებოდა, რომ ავღანელები უკმაყოფილონი არიან რავალ პინდაში ემირის წასვლის გამო და არ უნდათ ინგლისელები თავიანთ ქვეყანაში შეუშვან, რადგანაც ეჭვი აქვთ, რომ ინგლისელები რუსეთთან ომს იდებენ მიზეზად და ნამდვილად კი ავღანის დაჭერა უნდათო.

წმ. მეთოდის დღესასწაულის დროს პეტერბურგში მოელიან გალიციის რუსის უნიატების დეპუტაციას; დეპუტაციის მოთავენი არიან: მამა ნაუმოვიჩი; ცნობილი მოღვაწე დობრანსკი და პლოსჩანსკი, რედაქტორი გაზეთის „სიტყვისა“. გუშინ მოვიდენ დღესასწაულზედ დასასწრებად: სერბიის ნამინისტრალი რისტიჩი და ბოლგარიის მიტროპოლიტი კლიმენტი.

**ვარშავა.** „ვარშავის დღიური“ იმ გავრცელებული ხმის გამო, რომ ვითომც პოლშაში ინგლისელების აგენტები მოსულიყვნენ, ამბობს, რომ არა აქვს მას არა ვითარი დასამტკიცებელი საბუთები ამ ხმის დასაჯერებლად და გასამტყუნებლად; მაგრამ იგი სიამოვნებით აცხადებს, რომ ამ გავრცელებულს ხმას პოლშის ყველა გაზეთები ეწინააღმდეგებიან, და აფრთხილებენ თავიანთ მკითხველებს არ დაუჯერონ არაფერი წამქეზებლებს.

**პარიჟი.** მართლდება ის ამბავი, რომ ჩინეთის ოფიციალურს გაზეთში დაბეჭდილია მშვიდობიანობის ჩამოგდების პირობათა დეკრეტი და ჩინეთის ორი დელეგატი კიდეც წასულა თონკინში, რომ დაწვრილებით გამოიკვლიონ, თუ რა წესით უნდა გავიდენ თონკინიდამ ჩინელების ჯარები.

## განცხადებანი


ქაღა მოკლე

ს. სიუ და კო.

(Ц. 2592). (46—8)

**ჭურჭელი! ჭურჭელი! ჭურჭელი!!!**

ძალიან ბევრია ინგლისის მაღაზიაში. იქვე ისყიდება ძალიან იაფად ერთი ნაჭერი მიწა მტკვრის პირზედ.

(10—6)

**ძმთა ჭილაძეების**

**წიგნისა**

**და საკანცელიარიო ნივთეულობათა მაღაზიაში**

**ქ. ქუთაისში**

ისყიდება ყოველ გვარი ქართული, რუსული, ფრანცუზული, ბერძნული, ლათინური და სხვა ენების სახელძღვანელონი და აგრეთვე ბელეტრისტიული და სხვა გვარი საკითხავი წიგნები ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.

ახლად მიღებულია: ქართული წერის დედნები. ი. ს. ბოგბაშვილის ანბანი და რუსულისა და ქართული წერის რვეულნი.

(10—9)

**განცხადება**

სტამბა არ. ქელენდაძის და ამხ., რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, მესხიევის სახლებში, წურინოვის აფთიაქის პირდაპირ გარდავიდა ბ-ნი ანტონ ალექსის-ძის ადამეცკის ხელში. უკანასკნელი აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ის იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს საბეჭდავად: გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს, ბროშურებს, აგრეთვე ყოველგვარ ბლანკებს, კვიტანციებს, სჩოტებს, აფიშებს, პირობებს და სხვ.

სისუფთავეზე და აღნიშნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა პირობას აძლევს საქმის მომტანთ.

სტამბა ჰკისრულობს კორექტურის გასწორებას და ბროშურების გაკეთებას, უკეთუ საქმის მომცემნი ისურვებენ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ ამ ადრესათ მოგვმართონ: Въ типографію Ан. Ал. Адамецкаго, Лорисъ-Меликовская ул., д. Месхіева, противъ аптеки Цуринова.

(3—2)

**ინგლისის მაღაზიაში**

**თმის-ამომყვანი** **მაკ-მასტერი**



ამაგრებს თმას და აღდგენას აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—100)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მნ., სხოტკები თავის ტკივილის ასასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

**ინგლისური რკინის კროვატები.**



ერთის საწოლი 6 მანეთიდგან და ორის საწოლი 10 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 4-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, სამარილე, კოვზები, შეფილდის დანები ჩანგლებით, სამართლებლები, დასადგმელი პირის საბანი, სტაქნები, სუფრის ...გი, საწური, სვები, რიუმკები, საქაშური თებშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საიფხეები, პრობკის ამოსაღები, პრობკები, კლიტეები, გასაღებები, კრანტები, ალვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიკები, ზარადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, კატერპრუფი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკები, რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, ძეწკვები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები, ბომაზეი და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში არწრუნისეულს ქარვასლაში №№ 95, 94, 93, 91, და 90, 89, 88, 87, 86, და 85, უდიდესი ჩაის მაღაზია თბილისში.

(100—11)